EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ (შემდგომში – უნივერსიტეტი) კვლევითი ერთეულის – ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) სამართლებრივ სტატუსს, საქმიანობის მიზნებს, უფლებამოსილებას, ფუნქციებს, მართვას, სტრუქტურასა და ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ კვლევით ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების, წინამდებარე დებულების, უნივერსიტეტის დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

1.3. ცენტრი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და სამეცნიერო საკითხებში ვიცე-რექტორის წინაშე.

თავი II. ცენტრის საქმიანობის მიზნები, უფლებამოსილება და ფუნქციები

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის მიზნები

2.1. ცენტრის საქმიანობის მიზანია საგანმანათლებლო ორგანიზაციებში ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მიმართ ჰოლისტიკური მიდგომის დანერგვის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანსაღი სასწავლო გარემოს ფორმირება; ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებზე ისეთი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების სრულფასოვან საქმიანობას, საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ პირთა მენტალურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. კვლევითი ცენტრი ასევე მიზნად ისახავს დაწესებულების საქმიანობის, მენტალური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშემწყობი პედაგოგიური ინოვაციების განვითარებას, რაც საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ თითოეულ პირს საშუალებას მისცემს სრულად გამოავლინოს საკუთარი აკადემიური პოტენციალი.

მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები და ამოცანები

3.1. ცენტრის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) ჯანსაღი და მდგრადი სასწავლო, სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა სტუდენტების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

ბ) ჯანმრთელობისა და მდგრადობის პროფილის გაზრდა უნივერსიტეტის ძირითად საქმიანობაში - სწავლა, კვლევა.

გ) საქართველოს, ევროპის, ამერიკისა და აზიის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელება;

დ) სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებზე მუშობა და გამოცემა (სახელმძღვანელოები, ჟურნალები, სამეცნიერო კრებულები და სხვა);

ე) სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების, საჯარო ლექციების, საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება;

ვ) ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე სხვა ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელება.

მუხლი 4. ცენტრის უფლებამოსილება

4.1. დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების სრულფასოვნად შესრულების მიზნით ცენტრი უფლებამოსილია:

ა) ცენტრის სახელით ითანამშრომლოს ადგილობრივ, საერთაშორისო აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სხვა პროფილის მქონე დაწესებულებებთან;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ, და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების კონკურსებში;

გ) დამოუკიდებლად მოიპოვოს დაფინანსება, მიიღოს დახმარება და შემოწირულობა;

დ) მოითხოვოს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა;

ე) მიმართოს უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალ ერთეულებსა და თანამშრომლებს, რათა გამოითხოვოს მათგან ინფორმაცია უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, ინვენტარითა და სხვა მატერიალური რესურსით უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) განახორციელოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე აქტივობები.

თ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

თავი III. ცენტრის მართვა, სტრუქტურა და პერსონალი

მუხლი 5. ცენტრის მართვა

5.1. ცენტრის საქმიანობას წარმართავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

5.2. ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და სამეცნიერო საკითხებში ვიცე-რექტორის წინაშე.

5.3. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის ან პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი სამეცნიერო საკითხებში ან უნივერსიტეტის რექტორი იღებს გადაწყვეტილებას მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 6. ცენტრის სტრუქტურა და პერსონალი

6.1. ცენტრის შემადგენლობაში შედიან მკვლევარები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ცენტრის მკვლევარებს

6.2.ცენტრის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის შესაძლებელია მის შემადგენლობაში ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულ იქნენ შესაბამისი კომპეტენციისა და რაოდენობის სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

6.3. ცენტრის თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის ხელმძღვანელის წინაშე.

6.4. ცენტრის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 7. ცენტრის ხელმღვანელის ფუნქცია-მოვალეობები

7.3. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს ფუნქციებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;

დ) აკონტროლებს ცენტრის თანამშრომელთა მიერ ფუნქციებისა და დავალებების შესრულებას;

ე) ისმენს ანგარიშს თანამშრომლებისგან მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

ვ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს/ავიზებს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს;

ზ) ანაწილებს ცენტრში შემოსულ კორესპონდენციას;

თ) ცენტრის საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს ვიცე-რექტორს სამეცნიერო საკითხებში (ასევე მოთხოვნის შემთხვევაში – რექტორს) არანაკლებ წელიწადში ერთხელ, აკადემიური წლის ბოლოს და/ან მოთხოვნისამებრ;

ი) ვიცე-რექტორს სამეცნიერო საკითხებში (ასევე საჭიროების შემთხვევაში – რექტორს) წარუდგენს წინადადებებს ცენტრის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომელთა წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

კ) შუამდგომლობს ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სახელით გასცემს დასკვნებს;

მ) მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ნ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი IV. ცენტრის ქონება და ფინანსები

მუხლი 8. ცენტრის ქონება

8.3. ცენტრს, მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, შესაძლებელია უნივერსიტეტისგან სარგებლობაში გადაეცეს უძრავ-მოძრავი ქონება, ინვენტარი და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რესურსი რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას.

8.4. ცენტრის საქმიანობის შედეგად შექმნილი ინტელექტუალური და მატერიალური ფასეულობები წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას.

მუხლი 9. ცენტრის დაფინანსება

9.3. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი;

ბ) სამეცნიერო გრანტები;

გ) კვლევის შედეგებისა და სხვა სახის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციით მიღებული შემოსავლები;

დ) დახმარებები და შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დაშვებული სხვა შემოსავლები.

9.4. ცენტრის მიერ მიღებული სახსრები და სხვა შემოსავლები მთლიანად ხმარდება ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების შესრულებას და დაუშვებელია მათი სხვა მიზნით გამოყენება.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 10. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

10.3. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. დებულების დამტკიცება, ცვლილებების შეტანა, ძალადაკარგულად გამოცხადება

11.3. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

11.4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებები შეაქვს და მას ძალადაკარგულად აცხადებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.